საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/39

ქ. ბათუმი 01 მაისი, 2019 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ,,ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის“ დებულების განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **,,ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის“** დებულების განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N67 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები, კერძოდ, დანართი 1-ის:

ა) **მე-8 მუხლის მე-3-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე:

ა) 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრულ პირობებს;

ბ) უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული

სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა). უვადოდ არჩეული მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წლის ვადით აირჩევა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.“;

ბ) **მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატურას არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც შესაბამის კორესპონდენციას წარუდგენს ბსუ-ს რექტორს, შემდგომი რეაგირებისათვის.

2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შესარჩევი ღია კონკურსი ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერო თანამშრომლისათვის ბსუ-ს წესდებითა და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.''

გ) მე-11 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,11. იმ შემთხვევაში თუ სხდომას არ ესწრება ან კენჭისყრაში არ მონაწილეობს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ცხადდება ხელახალი კონკურსი.“

2. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს, რექტორის მოადგილეებს, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულს ,,ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტს“, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**